განა ის, ვინც ამ ქვეყნად ურწმუნოს ფეხებზე ამყოფებდა, არ არის შემძლე, რომ განკითხვის დღეს სახეზე ატაროს?

ყათადამ თქვა ალლაჰმა შეიწყალოს ის: გვიამბო ანას იბნ მაალიქმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ კაცმა თქვა: "ო, ალლაჰის მოციქულო, როგორ აღსდგება ურწმუნო თავის სახეზე?" მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: "განა ის, ვინც ამ ქვეყნად ურწმუნოს ფეხებზე ამყოფებდა, არ არის შემძლე, რომ განკითხვის დღეს სახეზე ატაროს?" თქვა ყათადამ: «დიახ, შემძლეა, ვფიცავ ჩვენი ღმერთის სიდიადეს!"
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს: "როგორ აღდგება ურწმუნო თავის სახეზე განკითხვის დღეს?" მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: " ნუთუ ალლაჰმა, რომელიც ამქვეყნად ფეხებზე ატარებდა მას, არ არის შემძლე, რომ განკითხვის დღეს სახეზე ატაროს? ალლაჰი ყოვლისშემძლეა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/65068